



საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030182765166915

№ 01-213/ო

06 / ივლისი / 2015 წ.

მცირე საოჯახო ტიპის ბავშვთა სახლების მართვის უფლებით გადაცემისათვის იურიდიული პირების გამოსავლენად საკონკურსო პირობების დამტკიცების თაობაზე

„ბავშვზე ზრუნვის ალტერნატიული ფორმების განვითარების მხარდაჭერის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 8 დეკემბრის N373 დადგენილების მე-2 მუხლის მე-4 პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. დამტკიცდეს „საკონკურსო პირობები მცირე საოჯახო ტიპის ბავშვთა სახლების მართვის უფლებით გადაცემისათვის იურიდიული პირების გამოსავლენად“ (დანართი №1) და საკონკურსო განაცხადი (დანართი №2).
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „მცირე საოჯახო ტიპის ბავშვთა სახლების მართვის უფლებით გადაცემისათვის იურიდიული პირების გამოსავლენად საკონკურსო პირობების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 5 ივლისის N31-129 ბ ბრძანება.
3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მინისტრი

დავით სვიციანი

საკონკურსო პირობები

მცირე საოჯახო ტიპის ბავშვთა სახლების მართვის უფლებით გადაცემისათვის
იურიდიული პირების გამოსავლენად

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. საკონკურსო პირობები შემუშავებულია „ბავშვზე ზრუნვის ალტერნატიული ფორმების განვითარების მხარდაჭერის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 8 დეკემბრის N373 დადგენილების მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად.

2. ეს პირობები განსაზღვრავს „მცირე საოჯახო ტიპის ბავშვთა სახლების ფუნქციონირებისათვის შესასყიდი ობიექტების (შენობა-ნაგებობა) გამოვლენის მიზნით, უწყებათაშორისი კომისიის შექმნისა და მასთან არსებული ტექნიკურ ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2015 წლის 3 ივნისის №01-160/ო ბრძანებით (შემდგომში - მინისტრის 2015 წლის 3 ივნისის №01-160/ო ბრძანება) დამტკიცებული კომისიის მიერ მცირე საოჯახო ტიპის ბავშვთა სახლების მართვის უფლებით გადაცემისათვის იურიდიული პირების გამოსავლენად კონკურსის ჩატარების წესსა და პირობებს, კომისიის უფლება-მოვალეობებს, მცირე საოჯახო ტიპის ბავშვთა სახლების მართვის უფლების მქონე პირის ვალდებულებებს, საკონკურსო დოკუმენტაციის ნუსხას.

მუხლი 2. კომისიის უფლება-მოვალეობები

1. მცირე საოჯახო ტიპის ბავშვთა სახლების მართვის უფლებით გადაცემისათვის იურიდიული პირების გამოვლენას განახორციელებს მინისტრის 2015 წლის 3 ივნისის №01-160/ო ბრძანებით დამტკიცებული კომისია.

2. კომისია განსაზღვრავს ლოტებს, რომელზეც ცხადდება კონკურსი მცირე საოჯახო ტიპის ბავშვთა სახლების მართვის უფლებით გადაცემისათვის იურიდიული პირების გამოსავლენად.

3. კომისია უზრუნველყოფს კონკურსში მონაწილე იურიდიული პირებისგან საკონკურსო დოკუმენტაციის მიღებას, კონკურსის ჩატარებას, კონკურსის შედეგების გამოცხადებას დადგენილ ვადებში.

4. კომისიის მიერ გამარჯვებული იურიდიული პირების გამოვლენა განხორციელდება საკონკურსო დოკუმენტაციის გადარჩევისა და ზეპირი მოსმენის საფუძველზე.

5. კონკურსის ჩატარების დროს და თარიღს განსაზღვრავს კომისია.

6. კომისიის სხდომა ტარდება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში ქ. თბილისი, წერეთლის გამზ. №144.

მუხლი 3. კონკურსის ჩატარების წესი

1. კონკურსი ტარდება ლოტების მიხედვით.

2. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა დაინტერესებულ იურიდიულ პირს, რომელიც აკმაყოფილებს ამ ბრძანებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

3. კონკურსში მონაწილე იურიდიულმა პირებმა საკონკურსო დოკუმენტაცია უნდა შეიტანონ კომისიის სახელზე არა უგვიანეს კონკურსის ჩატარების დღის 13.00 საათისა, ამ წესისა და პირობების მე-2 მუხლის მე-6 პუნქტში მითითებულ მისამართზე. საკონკურსო დოკუმენტაციის მიღებას უზრუნველყოფს კომისია.

4. საკონკურსო დოკუმენტაცია უნდა იყოს წარმოდგენილი დალუქული კონვერტით, რომელზეც უნდა იყოს მითითებული იურიდიული პირის დასახელება და რეკვიზიტები.

5. საკონკურსო დოკუმენტაციის გადარჩევისას კომისიის მდივანი ხსნის ყველა მონაწილის კონვერტს და საჯაროდ აცხადებს კონვერტში მოთავსებული დოკუმენტების ჩამონათვალსა და შინაარსს.

6. ზეპირ მოსმენაზე დაიშვება ის იურიდიული პირები, რომელთა საკონკურსო დოკუმენტაცია სრულად არის წარმოდგენილი ამ წესისა და პირობების მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად.

7. კომისიის მიერ შედეგების გამოცხადება ხდება კონკურსის დასრულებიდან არა უგვიანეს 3 დღის ვადაში.

8. საკონკურსო განცხადება და საკონკურსო შედეგები ქვეყნდება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე (www.moh.gov.ge).

მუხლი 4. საკონკურსო პირობები

1. მცირე საოჯახო ტიპის სახლების ფუნქციონირებისათვის გამოსაყენებელი უძრავი და მოძრავი ქონება სახელმწიფოს მიერ მართვის უფლების მქონე პირს გადაეცემა 10 წლის ვადით უსასყიდლო უზურფრუქტით.

2. მცირე საოჯახო ტიპის სახლების მომსახურების დაფინანსება განხორციელდება შესაბამისი წლის სახელმწიფო ბიუჯეტის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთვის გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში და მცირე საოჯახო ტიპის სახლების მართვის უფლების მქონე პირთან დადებული ხელშეკრულების ვადაში არ გაუარესდება.

3. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად დაინტერესებულმა იურიდიულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტაცია:

- ა) საკონკურსო განაცხადი (დანართი №2 შესაბამისად);
- ბ) საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირის წესდება;
- გ) სააღმზრდელო საქმიანობის პროგრამა (აღზრდის მეთოდიკა, დღის წესრიგი);
- დ) ინფორმაცია მცირე საოჯახო სახლების მართვისთვის საჭირო პერსონალის რაოდენობის, აგრეთვე ფუნქციების განაწილების თაობაზე;
- ე) ინფორმაცია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ფლობის შესახებ;
- ვ) ინფორმაცია ბავშვზე ზრუნვის სფეროში სხვადასხვა სახის (მათ შორის მიმდინარე) პროგრამების/პროექტების განხორციელების თაობაზე, დონორების მითითებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) (მოკლე აღწერილობა);
- ზ) ორგანიზაციის ხედვა, მისია და ღირებულებები;
- თ) ორგანიზაციის მუშაობის სტრატეგია (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- ი) ორგანიზაციის მენეჯმენტში და ადმინისტრირებაში ჩართული პირების ავტობიოგრაფია /კვალიფიკაცია/ პროფესიული გამოცდილება;
- კ) ინფორმაცია გასაწევი მომსახურების ხარისხის მართვის (მონიტორინგისა და შეფასების) ინსტრუმენტების თაობაზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- ლ) ინფორმაცია ძალადობისა და უგულვებელყოფისაგან ბავშვის დაცვის შესაბამისი შიდა პროცედურების დანერგვის–გამოყენების თაობაზე (ბავშვთა დაცვის სახელმწიფო პოლიტიკისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო სტანდარტების მოთხოვნების გათვალისწინებით);
- მ) ინფორმაცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის ბავშვის მომზადების შესაბამისი პროგრამის დანერგვის/ შეთავაზების თაობაზე;
- ნ) ინფორმაცია ბავშვის ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნების, ბავშვსა და მშობლებს შორის კავშირის გამყარების ხელშეწყობის კონკრეტული ღონისძიებების თაობაზე;
- ო) ინფორმაცია აღმზრდელების კვალიფიკაციის ამაღლებაზე ზრუნვის თაობაზე;
- პ) ასაღები ვალდებულების უზრუნველყოფის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- ჟ) დოკუმენტურად დადასტურებული ინფორმაცია, ადმინისტრირების განმახორციელებლის მიერ, მატერიალური (ფულადი და არაფულადი) და არამატერიალური შენატანის თაობაზე, რომელიც იურიდიულ პირს შეუძლია გაიღოს ან

გამოიყენოს კონკრეტული მცირე საოჯახო ტიპის მომსახურების სასარგებლოდ (ასეთის არსებობის შემთხვევაში). ამასთან, ადმინისტრირების განმახორციელებელმა, ყოველწლიურად, მცირე საოჯახო ტიპის ბავშვთა სახლების მართვის უფლებით გადაცემის შემთხვევაში, უნდა წარმოადგინოს აუდიტორული დასკვნა მატერიალური (ფულადი) შენატანის ხარჯვის შესახებ.

მუხლი 5. მცირე საოჯახო ტიპის ბავშვთა სახლების მართვის უფლების მქონე პირის ვალდებულება

მცირე საოჯახო ტიპის ბავშვთა სახლების მართვის უფლების მქონე პირი ვალდებულია:

1. მომსახურების დაწყებამდე, მცირე საოჯახო ტიპის სახლების ფუნქციონირებისათვის გამოსაყენებელი ქონების გადაცემიდან ერთი თვის ვადაში უზრუნველყოს სააღმზრდელო საქმიანობის ლიცენზიის აღება.
2. მომსახურების განხორციელებისას უზრუნველყოს სააღმზრდელო საქმიანობის სალიცენზიო პირობებთან და ბავშვზე ზრუნვის სტანდარტებთან შესაბამისობა და სხვა კანონმდებლობით დადგენილი ნორმების დაცვა.
3. საჭიროების შესაბამისად დროულად (დაუყოვნებლივ), მაგრამ ქონების გადაცემიდან არაუგვიანეს ყოველ 3 კალენდარულ წელში ერთხელ უზრუნველყოს შენობისა და ინფრასტრუქტურის მიმდინარე რემონტი.
4. უზრუნველყოს გადაცემული მატერიალურ-ტექნიკური ფასეულობების დაცვა, მუშა მდგომარეობაში შენარჩუნება, დაზიანების შემთხვევაში შეკეთება ან შესაბამისი ხარისხის ქონებით შეცვლა.
5. საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოციალური მომსახურების სააგენტოს მიმართვის შემთხვევაში, დაესწროს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს რეგიონული საბჭოს სხდომას, იმ საქმეებთან დაკავშირებით, რომელიც შეეხება სავარაუდო და მასთან მცხოვრებ აღსაზრდელებს და აღასრულოს აღნიშნული საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება.